

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №5
2020 წლის 23 მარტი

ქ. ახმეტა

„ახმეტის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ახმეტის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 დეკემბრის №19 დადგენილებაში (www.matsne.ge, 26/12/2019, 190020020.35.162.016505) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

თამარ ყვინიშვილი

დანარი

თავი I

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი სახით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	11,980.9	17,930.8	9,993.5	7,937.3	17,085.9	11,018.0	6,067.9
გადასახადები	2,242.2	8,310.6	8,310.6	-	10,032.0	10,032.0	-
გრანტები	8,831.7	8,429.8	492.5	7,937.3	6,217.9	150.0	6,067.9
სხვა შემოსავლები	907.0	1,190.4	1,190.4	-	836.0	836.0	-
II. ხარჯები	7,377.2	8,758.4	8,586.7	171.8	9,932.4	9,749.2	183.2
შრომის ანაზღაურება	1,578.8	1,799.2	1,799.2	-	1,908.5	1,908.5	-
საქონელი და მომსახურება	803.6	1,097.6	925.8	171.8	1,503.8	1,320.6	183.2



პროცენტი	70.7	211.2	211.2	-	117.0	117.0	-
სუბსიდიები	4,476.0	5,126.5	5,126.5	-	5,764.8	5,764.8	-
გრანტები	12.5	52.0	52.0	-	65.0	65.0	-
სოციალური უზრუნველყოფა	336.7	376.2	376.2	-	425.8	425.8	-
სხვა ხარჯები	98.9	95.8	95.8	-	147.5	147.5	-
III. საოპერაციო სალდო	4,603.7	9,172.4	1,406.8	7,765.5	7,153.5	1,268.8	5,884.7
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	2,875.2	11,807.2	2,015.0	9,792.2	8,670.1	1,862.3	6,807.8
ზრდა	2,896.9	11,907.2	2,115.0	9,792.2	8,720.1	1,912.3	6,807.8
კლება	21.7	100.0	100.0		50.0	50.0	
V. მთლიანი სალდო	1,728.5	- 2,634.9	- 608.2	- 2,026.7	- 1,516.6	- 593.5	- 923.1
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	1,728.4	- 2,732.4	- 705.7	- 2,026.7	- 1,659.6	- 736.5	- 923.1
ზრდა	-	-	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	-	-			-		
კლება	- 1,728.4	2,732.4	705.7	2,026.7	1,659.6	736.5	923.1
ვალუტა და დეპოზიტები	- 1,728.4	2,732.4	705.7	2,026.7	1,659.6	736.5	923.1
VII. ვალდებულებების ცვლილება	-	- 97.5	- 97.5	-	- 143.0	- 143.0	-
კლება	-	97.5	97.5	-	143.0	143.0	-
საშინაო	-	97.5	97.5	-	143.0	143.0	-
სესხები	-	97.5	97.5		143.0	143.0	
VIII. ბალანსი	0.0	-	- 0.0	-	- 0.0	- 0.0	-

მუხლი 2. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილებები

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	12,002.6	18,030.8	10,093.5	7,937.3	17,135.9	11,068.0	6,067.9
შემოსავლები	11,980.9	17,930.8	9,993.5	7,937.3	17,085.9	11,018.0	6,067.9
არაფინანსური აქტივების კლება	21.7	100.0	100.0		50.0	50.0	-



გადასახდელები	10,201.3	20,763.2	10,799.2	9,964.0	18,795.5	11,804.5	6,991.0
ხარჯები	7,304.4	8,758.4	8,586.7	171.8	9,932.4	9,749.2	183.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,896.9	11,907.2	2,115.0	9,792.2	8,720.1	1,912.3	6,807.8
ვალდებულებების კლება	-	97.5	97.5	-	143.0	143.0	-
ნაშთის ცვლილება	1,801.3	- 2,732.4	- 705.7	- 2,026.7	- 1,659.6	- 736.5	- 923.1

მუხლი 3. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 17085.9 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	11,980.9	17,930.8	9,993.5	7,937.3	17,085.9	11,018.0	6,067.9
გადასახადები	2,242.2	8,310.6	8,310.6	-	10,032.0	10,032.0	-
გრანტები	8,831.7	8,429.8	492.5	7,937.3	6,217.9	150.0	6,067.9
სხვა შემოსავლები	907.0	1,190.4	1,190.4		836.0	836.0	

მუხლი 4. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 10032.0 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
გადასახადები	2,242.2	8,310.6	8,310.6	-	10,032.0	10,032.0	-
საშემოსავლო გადასახადი	366.6	-	-	-	-	-	-
დამატებითი ღირებულების გადასახადი	-	6,585.6	6,585.6	-	8,232.0	8,232.0	-
ქონების გადასახადი	1,875.6	1,725.0	1,725.0	-	1,800.0	1,800.0	-
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1,231.6	1,245.0	1,245.0	-	1,290.0	1,290.0	-
ფიზიკურ პირთა ქონებაზე	7.4	-	-	-	-	-	-



(გარდა მიწისა)							
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	573.7	444.0	444.0	-	474.0	474.0	-
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	62.9	36.0	36.0		36.0	36.0	

მუხლი 5. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 6271.9 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
გრანტები	8,831.7	8,429.8	6,217.9
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	-		
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	8,831.7	8,429.8	6,217.9
გათანაბრებითი ტრანსფერი	4,988.5	-	
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	130.0	300.2	330.0
კაპიტალური ტრანსფერი	3,713.2	8,129.6	5,887.9

მუხლი 6. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 836.0 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	907.0	979.2	836.0
შემოსავლები საკუთრებიდან	662.4	747.2	600.0
პროცენტები	67.0	50.5	40.0
რენტა	595.4	696.7	560.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	82.4	72.0	76.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	32.3	32.0	36.0
სანებართვო მოსაკრებელი	4.8	12.0	16.0
მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვის დაჩქარებისათვის	3.4	-	-
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	24.1	20.0	20.0



არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	50.1	40.0	40.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	152.6	160.0	160.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	9.6	-	-

მუხლი 7. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 9932,4 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	7,306.2	8,758.4	8,586.7	171.8	9,932.4	9,749.2	183.2
შრომის ანაზღაურება	1,578.8	1,799.2	1,799.2	-	1,908.5	1,908.5	-
საქონელი და მომსახურება	803.6	1,097.6	925.8	171.8	1,503.8	1,320.6	183.2
პროცენტები	70.7	211.2	211.2	-	117.0	117.0	-
გრანტები	12.5	52.0	52.0	-	65.0	65.0	-
სუბსიდიები	4,405.0	5,126.5	5,126.5	-	5,764.8	5,764.8	-
სოციალური უზრუნველყოფა	336.7	376.2	376.2	-	425.8	425.8	-
სხვა ხარჯები	97.0	95.8	95.8	-	147.5	147.5	-

მუხლი 8. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 8670.1 ათასი ლარ ოდენობით, მათ შორის:

ა) არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვროს 8720.1 ათასი ლარის ოდენობით, შემდეგი სახით:

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	115.3	96.6	61.9
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	115.3	96.6	61.9
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	2,096.4	7,595.2	4,775.6
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1,600.3	6,355.8	3,803.1
02 02	წყლის სისტემების განვითარება	447.3	365.5	125.0



02 03	გარე განათება	12.2	156.8	70.0
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	28.2	-	25.0
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	8.4	717.1	724.0
02 07	ტურიზმი	-	-	28.5
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	240.1	2,035.6	802.6
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	-	6.3	-
03 02	გარემოს დაცვა	0.1	8.0	39.0
03 03	კაპიტალური დაზანდებები გარემოს დაცვის სფეროში	240.0	2,021.3	713.6
03 04	დასუფთავების ღონისძიებები	-	-	50.0
04 00	განათლება	250.2	1,424.8	2,471.9
04 01	სკოლამდელი დაწესებულებები	250.2	823.6	1,732.5
04 02	ზოგადი განათლება	-	601.2	739.4
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	111.9	38.6	357.0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	85.0	17.0	24.7
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	26.9	21.6	328.6
05 04	საინფორმაციო ცენტრი	-	-	3.7
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	30.0	466.2	251.1
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	0.8	465.4	235.6
06 02	სოციალური დაცვა	29.2	0.7	15.5
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	2,843.8	11,657.0	8,720.1

ბ) არაფინანსური აქტივების კლება განისაზღვროს 50,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	21.7	100.0	50.0
ძირითადი აქტივები	1.0	-	-
არაწარმოებული აქტივები	20.7	100.0	50.0
მიწა	20.7	100.0	50.0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდ ფუნქციონალური კლასიფიკაცია



განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდ ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,262.1	2,730.9	3,094.0
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,187.2	2,415.5	2,827.8
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,187.2	2,411.5	2,593.3
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	4.0	234.5
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	70.8	309.2	260.0
7.1.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	4.2	6.2	6.2
7.2	თავდაცვა	79.6	98.9	112.5
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	79.6	98.9	112.5
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	1,608.7	7,129.0	4,607.6
7.4 2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	8.4	721.2	724.0
7.4 2 1	სოფლის მეურნეობა	8.4	721.2	724.0
7.4 5	ტრანსპორტი	1,600.3	6,355.8	3,803.1
7.4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1,600.3	6,355.8	3,803.1
7.4 7	ეკონომიკის სხვა დარგები		52.0	80.5
7.5	გარემოს დაცვა	971.8	2,898.6	1,843.3
7.5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	419.1	517.1	705.4
7.5 2	ჩამდინარე წყლების მართვა	1.4	3.0	37.3
7.5 3	გარემოს დაბინძურების წინაარმდეგ ბრძოლა	551.3	2,378.5	1,100.6
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	1,184.4	1,195.2	936.9
7.6 1	ბინათმშენებლობა	4.2	-	-
7.6 3	წყალმომარაგება	816.6	715.2	505.3
7.6 4	გარე განათება	335.3	480.0	406.6
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	28.3	-	25.0
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	71.5	544.2	328.4
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	71.5	544.2	328.4
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,531.7	1,682.9	2,160.8



7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	659.6	715.4	826.1
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	832.2	912.7	1,252.7
7.8 3	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	39.9	54.8	62.0
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	-	-	20.0
7.9	განათლება	1,806.6	3,686.5	4,852.1
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	1,806.6	2,917.6	3,929.5
7.9 2	ზოგადი განათლება	-	768.8	922.6
7 10	სოციალური დაცვა	685.1	797.6	859.9
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	102.0	106.7	139.9
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	583.1	690.9	720.0
	სულ	10,201.3	20,763.9	18,795.5

ახმეტის

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილე

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო და საოპერაციო სალდო

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	4,603.7	9,172.4	7,153.5
მთლიანი სალდო	1,728.5	- 2,634.9	- 1,516.6

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 1659,6

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	1,728.4	- 2,732.4	- 1,659.6
კლება	- 1,728.4	2,732.4	1,659.6
ვალუტა და დეპოზიტი	- 1,728.4	2,732.4	1,659.6

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება



განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -143.0 ათასი ლარი ოდენობით.

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 143.0 ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
ვალდებულებების კლება	0.0	0,0	143.0
საშინაო	0.0	0,0	143.0
სესხები	0.0	0.0	143.0
სხვა კრედიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0

თავი II

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები და ქვეპროგრამები 2020-2023 წლებისათვის

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- საინვესტიციო გარემოსა და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა.
- სკოლამდელი განათლებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის ამაღლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა ხელშეწყობა, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების განმტკიცება.

1. ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტ ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზ. ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელ პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებულ ინფრასტრუქტურის მოვლა- შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	5,544.5
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	3,803.1
02 02	წყლის სისტემების განვითარება	505.3



02 02 01	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	55.0
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	80.0
02 02 03	ა(ა)იპ – სოფლის სასმელი წყლის მოვლა-პატრონობის ცენტრი	370.3
02 03	გარე განათება	406.6
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	250.0
02 03 02	კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში	-
02 03 03	ა(ა)იპ – კეთილმოწყობისა და გარე განათების სამსახური გარე განათების მოვლა-პატრონობა	156.6
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	25.0
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	25.0
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	724.0
02 07	ტურიზმი	80.5
02 07 01	ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	28.5
02 07 02	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	52.0

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შენარჩუნება და განახლება, ასფალტის საფარის ორმული შეკეთება, რაც გააუმჯობესებს არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურას. ასევე განხორციელდება დაზიანებული ქვაფენილების (ტროტუარების აღდგენა-რეაბილიტაცია და მოპირკეთება ასფალტო-ბეტონის საფარით.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება და ქალაქ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

ბ) წყლის სისტემების განვითარება

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის სისტემების და სათავე ნაგებობების მოწყობა- რეაბილიტაცია, აგრეთვე არსებული სისტემის მოვლა შენახვა. განხორციელდება სოფლების ჭაბურღილების ენერგო სისტემების მოწყობა და რეგიონალურ პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრების თანადაფინანსება. ასევე დაფინანსებული იქნება ჭაბურღილებზე მოხმარებული ელ. ენერგიის გადასახადი.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა.

გ) გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია



დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება. ქალაქისა და სოფლების ქუჩების ახალ ქსელების მოწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელებზე გახარჯულ ელექტრო-ენერგიის საფასურის გადახდა. გარე განათების მოვლა-პატრონობას უზრუნველყოფს ა(ა) „კეთილმოწყობისა და გარე განათების სამსახური“.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- განათებული ტერიტორია

დ) კეთილმოწყობის ღონისძიებები

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერებ კეთილმოწყობის ღონისძიებები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესება.

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარემოს დაცვა, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში. დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებულ ხარჯები. შესაბამისად პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სანიტარულ წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგ; ბაღახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; ქალაქში არსებული სასაფლაოები, მოვლა-დასუფთავება. თუშეთის დაცული ლანდშაფტის მოვლა-პატრონობა; მდინარეების კალაპოტ რეგულირება, სანიაღვრე არხების მოწყობა.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,843.3
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	655.4
03 02	გარემოს დაცვა	399.3
03 02 01	თუშეთის დაცული ლანდშაფტი	199.3
03 02 02	ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი	200.0
03 03	კაპიტალური დაბანდებები გარემოს დაცვის სფეროში	738.6
03 03 01	სანიაღვრე არხების მოწყობა	37.3
03 03 02	ხეების გაწმენდა ნატანისგან	237.7
03 03 03	სპეც. ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა	441.2
03 03 04	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	22.4
03 04	დასუფთავების ღონისძიებები	50.0



ა) დასუფთავება და ნარჩენების გატანა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად მოხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა დაიგვება ქალაქის ქუჩები, სკვერები.

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ტერიტორიის დასუფთავების და ნარჩენების გატანის ინტენსიურობის ზრდა.

ბ) თუშეთის დაცული ლანდშაფტი

ახმეტის მუნიციპალიტეტი ქვეყანაში ერთადერთი მუნიციპალიტეტია, რომელიც მართავს დაცულ ტერიტორიას, კერძოდ თუშეთის დაცულ ლანდშაფტის – 32000 ჰა ტერიტორიას, აქედან 5029 ჰას შეადგე ტყე, რომელსაც ასევე მართავს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია, რაც ასევე არის პირველი (ჯერჯერობით ერთადერთი) პრეცედენტი, ტყის მუნიციპალური მმართველობისა. თუშეთის, თავის მასშტაბით მუნიციპალიტეტის ამ უდიდესი სივრცის სამართავად არის შექმნილი ა(ა)იპ. "თუშეთ დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია", რომლის მენეჯმენტ-გეგმაც დამტკიცებულია მთავრობ დადგენილებით და მასში განსაზღვრულია შემდეგი ამოცანები: თუშეთის ისტორიული დასახლებები ტრადიციული იერსახის შენარჩუნება, დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე სივრცითი დაგეგმარება, სისტემის შემუშავება, ადგილობრივი მოსახლეობისათვის საშუალება და სამასალე მერქნ, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ტყის მავნებლების გამრავლებისა და ხანძრების თავიდან აცილება, ეფექტური სისტემების შემუშავება, ტრადიციული სასოფლო - სამეურნეო საქმიანობის განვითარება, პოტენციალის შესწავლა, თუშეთში მუდმივმაცხოვრებელი მოსახლეობის მოტივირება, სამოვრებ მდგრადი მართვის სისტემის შექმნა, ძირითადი ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა, თუშეთ ენდემური მცენარეული კულტურებისა და ცხოველთა ჯიშების დაცვის სტრატეგიის შემუშავება, დაცულ ლანდშაფტში გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების სტაბილური რაოდენობის უზრუნველყოფა ვინაიდან, ზემოაღნიშნულ ამოცანათა გადასაჭრელად ადმინისტრაციის საბაზისო ბიუჯეტი საკმარისი არის, საჭირო ღონისძიებათა უდიდესი ნაწილი ფინანსდება საერთაშორისო ფონდებისა (გარემოსდაცვითი ორგანიზაციების მიერ, აღნიშნულ პროექტებში ახმეტის მერიის კონტრიბუცია შეადგე მხოლოდ საჭირო თანხის 5-10 %-ს. რადგანაც ახმეტის მერიის ბიუჯეტის სიმწირე, ხშირად არ იძლეე კონტრიბუციის დაფინანსების საშუალებას, ა(ა)იპ „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია“ სტრატეგიას წარმოადგენს საკუთარი სახსრების მოზიდვა მისი წესდებით ნებადართული საქმიანობის სატყეო მომსახურება, ეროვნულ პარკში შესასვლელი ნებაყოფლობითი გადასახადის დაწესება და ა თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სარგებელი, რომელსაც ახმეტის მუნიციპალიტეტს და მ მოსახლეობას მოუტანს ა(ა)იპ „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის“ გამართული მუშაო არ გამოიხატება ციფრობრივ-რაოდენობრივი ინდიკატორებით, არამედ უნდა შეფასდეს ხარისხობრივ გარემოსდაცვითი ინდიკატორებით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- თვითმყოფადი ისტორიულ- კულტურული გარემოს შენარჩუნება;
- ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის აღდგენისა და განვითარების ხელშეწყობა;
- მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება.

გ) ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი

ორგანიზაცია ახორციელებს ახმეტის მუნიციპალიტეტის ტყე-პარკებისა („წყაროების“, „ბახტიონის“, „შვეიცარიის“, „ხორხლის“) და სასაფლაოებზე მისასვლელი ბილიკების დაგვა და დასუფთავება: გამწვანებას, ამორტიზირებული ხეების მოჭრას, უპატრონო მიცვალებულებისათვის გამოყოფილ ადგილის დასუფთავებას. ხდება ტყე-პარკი „წყაროების“ ტერიტორიის შენობა-ნაგებობების მოვლ პატრონობა, რეგულარული დაგვა-დასუფთავება და გამწვანება. ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახებ სხვადასხვა სახის დახმარება, (სახურავის შერემონტება, შეშით დახმარება). ხდება ტყე პარკ „წყაროები“ წელიწადში 3-4 ჯერ გათიბვა, გაწმენდა ეკალ-ბარდისგან, სეზონზე ყოველდღიურად დაგვა-დასუფთავე მთელ ტერიტორიაზე. ტყე-პარკ „ბახტიონის“ გაწმენდა ბალახისა და ჯაგნარისაგან გაზაფხულსა და გვი შემოდგომაზე. შედარებით ნაკლები სამუშაოების ჩატარება ხდება ტყე-პარკ „შვეიცარიისა“ და ტყე-პა „ხორხელში“. ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ახმეტის 3 და 1 საბეროს სასაფლაოების ყოვე



გაზაფხულზე, შუა ზაფხულსა და გვიან შემოდგომაზე გათიბვა, გაწმენდა ეკალ -ბარდისგან.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

მუნიციპალიტეტში არსებული ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.

სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია ექსპლოატაცია

გათვალისწინებულია მდინარეების კალაპოტის ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება და სოფლებს სარწყავი ქსელების მოწყობის, რეაბილიტაციის ხარჯები.

სანიაღვრე არხების მოწყობა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოეწყობა სანიაღვრე არხები

სპეც. ტექნიკის და ინვენტარის შეძენა

გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის საჭიროებისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეძენა ტრაქტორის კაპიტალური შეკეთებისა და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯები.

3. განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარემოში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულს საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტულ წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარის უზრუნველყოფა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეც პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
04 00	განათლება	4,852.1
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2,225.3
04 01 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	1,704.2
04 02	ზოგადი განათლება	922.6

ა) სკოლამდელი განათლება

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 36 საბავშვო ბაღი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს არსებული მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, ახალი ბაღების მშენებლობას, ასევე ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბავშვების მეთვალყურეობა, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სწავლების დონის განსაზღვრა, შესაბამისი პროგრამების, სასწავლო და მეთოდური მასალების განსაზღვრა. ბავშვთა სრულფასოვანი კვების ორგანიზება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:



- გაუმჯობესებული საადმინისტრაციო პირობები;
- ფიზიკურად ჯანმრთელი, სრულყოფილი, ფსიქოლოგიურად გაწონასწორებული მომავალი თაობა აღზრდა;
- 36 საბავშვო ბაღი მოემსახურება 1500-მდე ბავშვს; დასაქმებული იქნება 403 ადამიანი, აქედან 69-მც მასწავლებელი.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მომავალი თაობის მზადყოფნა სკოლაში შესასვლელად;
- მოსწავლეთა და მშობელთა კმაყოფილების დონის ზრდა.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რაც ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული მონაცემების გამოვლინება. გარდა ამისა მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ბიბლიოთეკების, მუზეუმების, ხელოვნების სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2,160.8
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	826.1
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	746.4
05 01 01 01	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა ა(ა)იპ – ახმეტის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა	375.7
05 01 01 02	ძიუდოს განვითარების ხელშეწყობა ა(ა)იპ – ზ. ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სასპორტო სკოლა	202.5
05 01 01 03	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა ა(ა)იპ – საფეხბურთო სკოლა „ბახტრიონი“	168.2
05 01 01 04	ქალთა სპორტის განვითარება	-
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	79.0
05 01 03	კაპიტალური დაზანდებები სპორტის სფეროში	0.7
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,187.7
05 02 01	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა ა(ა)იპ კულტურის ცენტრი	503.6
-	-	-
05 02 01 02	ა(ა)იპ – სამუსიკო სკოლების გაერთიანება	163.0
05 02 01 03	ა(ა)იპ – მამიაურის სახელობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლა	217.5
05 02 03	კაპიტალური დაზანდებები კულტურის სფეროში	303.6



05 02 03 02	კლუბები	303.6
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	65.0
05 04	საინფორმაციო ცენტრი	62.0
05 05	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	20.0

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. გათვალისწინებულ სტადიონების და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

2020 წლის განმავლობაში დაფინანსდება სამი სპორტული სკოლა, ესენია:

- ა(ა)იპ – სკოლისგარეშე სპორტული დაწესებულება ახმეტის საფეხბურთო სკოლა „ბახტრიონი“;
- ა(ა)იპ – სკოლისგარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულება ახმეტის „კომპლექსუ სასპორტო სკოლა“;
- ა(ა)იპ – სკოლისგარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულება – ახმეტის ზურაბ ზვიადაურ სახელობის მიუდოს სასპორტო სკოლა.

სკოლებში ფუნქციონირებს მიუდოს, თავისუფალი, ბერძნულ-რომაულის, მკლავჭიდის, ფეხბურთის, კალათბურთის, მძლეოსნობის, ჩოგბურთის, კინბოქსის, რაგბის სექციები და აღნიშნულ სექციებში ჩართულია 700-მდე ბავშვი. პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- სპორტული ღონისძიებებისა და სრულყოფილი სასპორტო- საგანმანათლებლო ღონისძიებების ხელშეწყობა;
- მოსახლეობაში დანერგილი ცხოვრების ჯანსაღი წესი;
- ბავშვებისა და მოზარდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიური ჩაბმა;
- სპორტის სხვადასხვა სახეობებში ადგილობრივ და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა წარმატებული გამოსვლა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებულთა და პრიზიორთა რაოდენობის ზრდა;
- სპორტულ-გამაჯანსაღებელ სექტორში ჩართული ახალგაზრდობის რაოდენობის ზრდა.

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მოსახლეობის კულტურული აღზრდა და მათი ჩართულობა კულტურულ ღონისძიებებში.



შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კულტურის სფეროში წარმატებების მიღწევა.

გ) ა(ა)იპ – ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ადმინისტრაციის ხარჯები

მოხდება ადმინისტრაციის შესანახი ხარჯებისა და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებ დაფინანსება კერძოდ, დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 8 ბიბლიოთეკა, სადა დაცულია 133688 ცალი წიგნი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ინიციატივით მიმდინარეო მუშაობა ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნაზე.

დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურის სახლები (ქ. ახმეტის ქისტაურის, ოჟიოს, ქვ. ალვანის, ზ.ალვანის, მატნის, საკობიანოს, დუისის, ჯოყოლოს, ომალოს ქვეპროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მუზეუმების მოვლა-პატრონობის ხარჯების დაფინანსებას.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სამი მუზეუმი:

1. რაფიელ ერისთავის სახლ მუზეუმი;
2. ახმეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი;
3. პანკისის ეთნოგრაფიული მუზეუმი.

აღნიშნული მუზეუმებისათვის სისტემეტიურად ხდება სამუზეუმო ექსპონატების მოძიება-მატეჩ არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის ქრონოლოგიური პერიოდულობით დალაგება (კლასიფიკაცია).

დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა ისტორიული ეპოქის 400-ზე მეტ ისტორიული ძეგლის მოვლა-პატრონობის ხარჯები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- არსებული წიგნის ფონდის შენარჩუნება და განახლება;
- მკითხველისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;
- მოსახლეობის კულტურული აღზრდა და მათი ჩართულობა კულტურულ ღონისძიებებში.

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

- მკითხველთა რაოდენობის ზრდა;
- კულტურის სფეროში წარმატებების მიღწევა.

ე) სახელოვნებო და მუსიკალური სკოლები.(პროგრამული კოდი 05 02 07)

პროგრამა ითვალისწინებს სახელოვნებო ორგანიზაციებში შემოქმედებითი აზროვნების დანერგვას ხელშეწყობას. ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული, ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას.

აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ორი სახელოვნებო სკოლა ესენია:

- ა(ა)იპ „სამუსიკო სკოლების გაერთიანება“, რომელსაც აქვს ფილიალები სოფლებში: მატანი, დუისი, ზ. ალვანი, ქვ. ალვანი, სადაც ირიცხება 250-მდე მოსწავლე. სამუსიკო სკოლის მიზანია ეზიარა ახალგაზრდები მუსიკალური ხელოვნების საფუძვლებს, მოხდეს მათი ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება, ასევე მოხდეს მუსიკალური ხელოვნების სფეროში ინდივიდუალური შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობა, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა და შენარჩუნების მიზნით საჭირო ღონისძიებების განხორციელება. ასევე ხელი შეეწყობა ქართული ფოლკლორისა და



ქართული სიმღერების შესწავლას. დაფინანსდება სამუსიკო სკოლების გაერთიანებასთან არსებულ ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „ჯვარი ვაზისა“

- ა(ა)იპ „ბესიკ მაშიაშვილის სახელობის მოსწავლე ახალგაზრდობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლა“ რომელიც ემსახურება მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარ ჩამოყალიბებას; გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა ხელოვნებასა და საფუძვლების ზიარებას.

სკოლა ასევე უზრუნველყოფს მომავალი თაობების ცოდნის გაღრმავებას, სკოლაში არის სახელოვნებო წრეები, როგორიცაა ხატვის, ჭადრაკის, ცეკვის, თიხის და გამოყენებითი ხელოვნების. სკოლაში ირიცხება 300-მდე ბავშვი. პროგრამაში გათვალისწინებულია უნარშეზღუდული ბავშვების ჩართვა, რეზონანსი უზრუნველყოფს მათ მომავალი პროფესიული ცოდნით, რადგან ისინი გარდა ფსიქოლოგიური განტვირთვისა შეისწავლიან რომელიმე პროფესიას, როგორიცაა კერვა, ქარგვა, თექის დამზადება, თიხის დამუშავება და ა.შ. რაც მათი შემდგომი დამოუკიდებელი არსებობისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია. ამავე პროგრამაში შესაძლებელია ჩართული იყვნენ დიასახლისები, რომლებიც არ იღებენ სოციალურ დახმარებას და არც საპენსიო ასაკი აქვთ. აქ ისინი განერიდებიან მძიმე სოციალურ პრობლემებს და ასე შეიძენენ განათლებას, რომელიც შეიძლება მათი შემოსავლის წყარო გახდეს.

სკოლაში ასევე ფუნქციონირებს სპორტული სექცია როგორიცაა „კრივი“, სადაც მომზადებას გადის ბავშვი.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- ნიჭიერი შემოქმედების აღმოჩენა-წარმოჩენა, შემოქმედებითი პროცესის ინტენსივობა;
- გაუმჯობესდება ოჯახების სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა;
- მომავალი თაობების ცოდნის გაღრმავება და მეორადი პროფესიის შეძენა.

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ჩატარებული სახელოვნებო კონცერტების, გამოფენების, ადგილობრივი ღონისძიებების რაოდენობა;
- ხელოვანთა მიღწევები სხვადასხვა ასპარეზზე და დადებითი გამოხმაურება მედიაში.

ვ) საინფორმაციო ცენტრი

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის გახიზნა „ბაზტიონი“.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტის საჭირობო საკითხებზე.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- აქტიური მოსახლეობა;

ზ) ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ახალგაზრდების ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საზოგადოებრივად აქტიური ახალგაზრდობის ზრდა.



5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

